ოპტიმიზმი, როგორც აკადემიური მოსწრებისა და თვითეფექტურობის პრედიქტორი

თამარ კოპაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ კოპაძე

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია დაადგინოს კავშირი ოპტიმიზმს, თვითეფექტურობასა და აკადემიურ მოსწრებას შორის სტუდენტებში. გამომდიანარე იქიდან, რომ სწავლის პერიოდი და განსაკუთრებით გამოცდების პერიოდი წარმოადგენს სტრესს სტუდენტებისთვის, ის შეიძლება იყო ხელისშემშლელი ფაქტორი მათი სწავლის პროცესში, მნიშვნელოვანია იმაზე საუბარი, თუ რა ეხმარებათ სტუდენტებს აღნიშნული სტრესის დაძლევაში და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. გამომდინარე იქიდან, რომ ოპტიმიზმი მომავლის პოზიტიური ხედვა, შესაძლოა დამხმარე იყოს აკადემიური ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, ხოლო თვითეფექტურობა არის ადამიანის რწმენა იმის თაობაზე, რომ მას შეუძლია მიზნის მიღწევისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, აღნიშნული ფსიქოლოგიური ფაქტორიც ყურადსაღებია.

გარდა ამისა, ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში, როგორიც საქართველოა, სადაც ახალგაზრდები ხშირად აწყდებიან მაღალ მოლოდინებს, სოციოეკონომიკურ წნეხსა და არასაკმარის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. ფსიქოლოგიური რესურსების განსაზღვრა და გაძლიერება სწავლების პროცესში შეიძლება გახდეს სტუდენტების აკადემიური და პიროვნული განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი.

კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა ოპტიმიზმი და თვითეფექტურობა, დიდ როლს თამაშობს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების კუთხით, ისინი გავლენას ახდენენ სტუდენტების მოტივაციაზე, სტრეს მედეგობაზე და საერთო აკადემიურ შედეგებზე. კვლევების დასკვნები მიუთითებს, რომ როგორც ოპტიმიზმი, ასევე თვითეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მაღალ აკადემიურ მოსწრებასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევების თანახმად თვითეფექტურობა უფრო ძლიერი პრედიქტია აკადემიური მოსწრებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე ვიკვლიე ამ სამი ფაქტორის ურთიერთკავშირი, ამ მიზნით კვლევა ტარდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან- ვიკვლიე

ოპტიმიზმის, თვითეფექტურობისა და GPA-ს შესაბამისი საზომებით. ოპტიმიზმი და თვითეფექტურა ფასდება შესაბამისი საკვლევი სკალით, ხოლო GPA განისაზღვრება ქულით, რომელიც მინიჭებული აქვს სტუდენს არჩევის უზრუნველყოფის სისტემაში(არგუსში).

ძირითადი ტერმინები: თვითეფექტურობა, ოპტიმიზმი, აკადემიური მოსწრება, სტუდენტები.

Abstract

The present study explores the relationship between optimism, self-efficacy, and academic performance among university students. Given that the academic period—particularly exam periods—can be a source of stress for students and may interfere with their learning process, it is important to understand what psychological resources help students cope with this stress and improve their academic outcomes.

Optimism, as a positive outlook on the future, may serve as a protective factor that contributes to better academic performance. Likewise, self-efficacy—defined as an individual's belief in their ability to plan and carry out actions necessary to achieve specific goals—is a key psychological construct in the academic context.

Previous research has demonstrated that psychological variables such as optimism and self-efficacy play a significant role in enhancing academic achievement. They influence students' motivation, resilience, and overall academic outcomes. Findings suggest that both optimism and self-efficacy are positively associated with higher academic performance, with self-efficacy often emerging as the stronger predictor of academic success.

Based on this background, the current study investigates the interrelationship among these three variables—optimism, self-efficacy, and academic achievement (GPA)—among undergraduate and graduate students. Optimism and self-efficacy are measured using standardized psychological scales, while GPA is assessed through students' academic records as registered in the Argus system.

Keywords: optimism, self-efficacy, student, academic performance.